დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №8

10 სექტემბერი 2010 წელი ქ.დმანისი

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 6 წევრი.

1. შამილ ალიევი.
2. ომარ ჭელიძე.
3. ზურაბ აკოფაშვილი.
4. ჰამლეტ ბერუაშვილი.
5. ნოდარ ადუაშვილი.

მოწვეული პირები: ადვოკატი რევაზ რიჟამაძე; გიულუ პაშაევა, ბაბეკ ფაშაევი, რეზო ნინიაშვილი, ქამანდარ ალაზოვი და რეზო ნინიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მ/შ: **შ.ალიევი**

დღის წესრიგი:

გიულუ პაშაევას 2010 წლის 6 აგვისტოს განცხადების "ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ზეპირი მოსმენა.

მისმინეს: ადვოკატ რ.რიჟამაძეს მოკლეთ აეხსნა მის მიერ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი ბიუროს წევრებისთვის და დააზუსტა, რომ მიუთხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

ადვოკატმა რ.ნინიაშვილმა, წარმოადგინა რწმუნება, რომლითაც იგი არის კახრამან ალაზოვის წარმომადგენელი. ადვოკატი რ.ნინიაშვილი განმარტავს, რომ არსებობს დმაანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ყველაზე ბოლოს არის გამოცემული და რომლითაც ბათილად არის გამოცხადებული დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის №9-13 განკარგულება და ამ საკითხზე დავას აზრი აღარ აქვს.

გადაწყვიტეს: დმანისის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის №3/1-09 გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №3ბ/462-06 გადაეგზავნოთ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელით შესაბამის სასამართლოებს და ეთხოვოთ განმარტება მოგვცენ გადაწყვეტილების იმ ნაწილში თუ კონკრეტულად:

1. თუ სასამართლოს რომელი გადაწყვეტილება არის ძალაში და კონკრეტულად დმანისის რაიონის ოროზმანის თემის საკრებულოს 2000 წლის 17 ნოემბრის დადგენილება ძალაში არის თუ არა.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ: **შ.ალიევი**